


# ტყვიის შემცველ საღებავთან დაკავშირებით ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზების სახელმძღვანელო

# ტყვიის შემცველ საღებავთან დაკავშირებით ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზების სახელმძღვანელო

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

© National Center for Disease Control & Public Health of Georgia 2020

This translation was not created by the World Health Organization (WHO). WHO is not responsible for the content or accuracy of this translation. The original English edition **Guidance on organizing an advocacy or awareness-raising campaign on lead paint.** Geneva: World Health Organization; 2020. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO shall be the binding and authentic edition.

This translated work is available under the CC BY-NC-SA 3.0

# სარჩევი


მადლიერების გამოხატვა IV

აბრევიატურები V

1. წინაპირობები 1

2. შესავალი 1

3. ეფექტიანი კომუნიკაციის ექვსი პრინციპი და შვიდი "C" 2

4. თქვენი კამპანიის შედეგ(ებ)ის განსაზღვრა 4

5. აუდიტორიის განსაზღვრა 6

6. წარსადგენი ინფორმაციის განსაზღვრა 9

7. კომუნიკაციის მეთოდებისა და არხების შერჩევა 12

8. ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზება 12

9. ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების მაგალითები 15

10. ამ დოკუმენტის წყაროები 17

დანართი 1. ტყვიის შემცველ საღებავთან დაკავშირებული ერთიანი ყოვლისმომცველი კომუნიკაციის შედეგების შაბლონი 18

დანართი 2. რესურსები 19

დანართი 3. ძირითადი შეტყობინებები და ქმედებები 23

# მადლიერების გამოხატვა

ეს დოკუმენტი შეიმუშავეს ჯოანა ტემპოვსკიმ და ელენა ჯარდანმა (კონსულტანტი), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და ჯანდაცვის დეპარტამენტიდან ნიკოლინ ლავანშის (კონსულტანტი) და დეზირე მონტეჩილო ნარვეზის - გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ქიმიკატებისა და ჯანდაცვის განყოფილების თანამშრომლების დახმარებით. ქვემოთ ჩამოთვლილმა პირებმა გადახედეს და კომენტარები მოგვაწოდეს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით, და მათ წვლილს ძალიან ვაფასებთ.

ვერა ბარანტესი, ჯანმო/გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, კონსულტანტი, პანამა სითი, პანამა.

სარა ბროშე, ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის გლობალური კამპანიის მენეჯერი, დამაბინძურებლების აღმოფხვრის საერთაშორისო ქსელი (IPEN), გოტენბურგი, შვედეთი.

ივონ მარზუკი, კომუნიკაციების სპეციალისტი, გლობალური საკითხებისა და პოლიტიკის ოფისი, გარემოს დაცვის სააგენტო, ვაშინგტონი, აშშ.

ჯანმო-ს შემდეგმა თანამშრომლებმა ასევე მოგვაწოდეს კომენტარები: ანა ბოიშიო, მრჩეველი ქიმიური უსაფრთხოების საკითხებში, ჯანდაცვის დანაყოფის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი, პან-ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაცია; ჯინგ ვანგ კავალანტი, ტექნიკური ოფიცერი, მედიკამენტებისა და ჯანდაცვის პროდუქტების წვდომა, ჯანმო-ს სათაო ოფისი; ირინა ზასტენსკაია, ტექნიკური ოფიცერი, ჯანმო-ს გარემოს და ჯანმრთელობის ევროპის რეგიონული ოფისი.

ამ დოკუმენტის რედაქტირება განახორციელა ტერეზა ლანდერმა.

ეს დოკუმენტი მომზადდა ჯანმო-ს მიერ გლობალური გარემოსდაცვითი მექანიზმის (GEF) სრულმასშტაბიანი პროექტის 9771 ფარგლებში: საუკეთესო გლობალური პრაქტიკა, ქიმიურ პოლიტიკაში წარმოქმნილ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, ქიმიკატების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის (SAICM) ფარგლებში: ქიმიკატები პრობლემების გარეშე - ჩვენი გარემოსა და ჯანმრთელობისთვის შედარებით უსაფრთხო პროდუქტებისაკენ. ამ პროექტს ახორციელებს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), ხოლო შემსრულებელია SAICM სამდივნო. ტყვიის შემცველი საღებავის კომპონენტის მიზანია ეროვნული და ღირებულებათა სისტემის ინიციატივების მიღება წარმოქმნილი პოლიტიკური პრობლემების სამართავად, მთავრობისა და დარგის მარეგულირებელი და ნებაყოფლობითი ქმედებების წახალისების გზით, რათა აღმოიფხვრას ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება. ჯანმო მადლიერებას გამოთქვამს ამ დოკუმენტის შემუშავების, რედაქტირებისა და გაფორმების საკითხში GEF-ის ფინანსური თანამონაწილეობის გამო.

IPEN-ის მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები:

გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების ორგანიზაცია, დაკა, ბანგლადეში
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ცენტრი, მინსკი, ბელარუსი
საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი, კატმანდუ, ნეპალი
ეკო-აკორდი (Eco-Accord), მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია
გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრი, კოლომბო, შრი-ლანკა
ქიმიური უსაფრთხოების სააგენტო, კიევი, უკრაინა

# აბრევიატურები

| | |
|---|---|
| **GEF** | გლობალური გარემოსდაცვითი მექანიზმი |
| **IPEN** | დამაბინძურებლების აღმოფხვრის საერთაშორისო ქსელი |
| **PPM** | ნაწილაკი მილიონზე |
| **SAICM** | სტრატეგიული მიდგომა ქიმიკატების საერთაშორისო მართვისადმი |
| **SOCO** | ერთიანი ყოვლისმომცველი კომუნიკაციის შედეგი |
| **UNEP** | გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა |
| **WHO** | ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია |

# 1.წინაპირობები

ამ დოკუმენტის შემუშავება იმ პროექტის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს წინსვლას ქვეყნებში ტყვიის შემცველი საღებავების წარმოების, გაყიდვის, დისტრიბუციის, იმპორტის და გამოყენების კონტროლის სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმების შექმნას. პროექტი  ფინანსდება გლობალური გარემოსდაცვითი მექანიზმის (GEF) მიერ, ხოლო სრულდება ქიმიკატების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მართვის სამდივნოს (SAICM) მიერ. მას წვლილი შეაქვს ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრაში (ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსი). ალიანსი წარმოადგენს ნებაყოფლობითი თანამშრომლობის ინიციატივას, რომელსაც ერთობლივად ხელმძღვანელობს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო), რომელიც ახორციელებს საქმიანობას ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრისთვის მსოფლიოს მასშტაბით, რათა აღკვეთოს ბავშვების ექსპოზიცია და მინიმუმამდე დაიყვანოს პროფესიული ექსპოზიცია საღებავში არსებული ტყვიისადმი.

ამ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ისეთი სახელმძღვანელო პრინციპებისა და ინსტრუმენტების მოწოდება, რომლებიც ხელს შეუწყობს ადვოკატირებას, ან ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ქვეყანაში ბიძგის შესაქმნელად,  რათა შემუშავდეს, მიღებულ იქნას და განხორციელდეს სამართლებრივად სავალდებულო ღონისძიებები, როგორიცაა კანონები, რეგლამენტები, სტანდარტები და ბრძანებები, (მოკლედ რომ ვთქვათ, „ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონები"). დოკუმენტი ეყრდნობა ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის გამოცდილებას ტყვიით მოწამვლის პრევენციის საერთაშორისო კვირეულის კამპანიის ჩატარების საქმეში. იგი ასევე ეფუძნება ჯანმო-ს მიერ შემუშავებულ საკომუნიკაციო სახელმძღვანელოს.

# 2.შესავალი

ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება ურთიერთგადამფარავი კონცეფციებია. ცნობიერების ამაღლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრობლემურ საკითხთან, - ამ შემთხვევაში ტყვიის შემცველ საღებავთან დაკავშირებულ მხარეთა დაინტერესების, პოლიტიკის შემმუშავებელთა და საზოგადოების მხრიდან მსჯელობის დაწყების ხელშემწყობ ღონისძიებად. ადვოკატირება წარმოადგენს ცნობიერების ამაღლების ფორმას, თუმცა მისი მიზანია დამოკიდებულების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შეცვლა.

ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება შეიძლება მიმართულ იქნას სხვადასხვა აუდიტორიისადმი, მათ შორის, პოლიტიკის შემმუშავებლების, სახელმწიფო თანამდებობის პირების, საღებავის მრეწველობისა (საღებავების მწარმოებლები და საცალო გამყიდველები) და ფართო საზოგადოებისადმი. მასში შესაძლოა ჩართულ იქნას რიგი ადგილობრივი, რეგიონული ან გლობალური საკომუნიკაციო ღონისძიებები, როგორიცაა მედია კამპანიები, განხილვები მრგვალ მაგიდასთან და ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება. ეს სახელმძღვანელო დოკუმენტი განიხილავს ამ საკითხებს, განსაზღვრავს იმ ძირითად პუნქტებს, რომლებიც გასათვალისწინებელია კამპანიის დაგეგმვისას და იძლევა როგორც წინადადებებს და რჩევებს საქმიანობის და კამპანიების წარმართვასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას სხვადასხვა ტიპის მასალების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივობებისა და კამპანიების მხარდასაჭერად, აგრეთვე რიგ უმთავრეს შეტყობინებებს. იგი იძლევა არსებულ ინსტრუმენტებს და რჩევებს, რომლებიც დაგეხმარებათ კამპანიის შემუშავებაში მცირე დანახარჯებით ან უდანახარჯოდ.

# 3. ეფექტიანი კომუნიკაციის ექვსი პრინციპი და შვიდი „C“

კომუნიკაციის ღონისძიებების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი აუდიტორიისთვის იყოს მისაწვდომი, სანდო და სარწმუნო, რელევანტური, დროული და გასაგები. ეს უზრუნველყოფს დამსწრე აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამყარებას და მის მოტივირებას, მოინდომოს და იმოქმედოს ამასთან დაკავშირებით. ეს პრინციპები მოკლედაა აღწერილი ქვემოთ.

**მისაწვდომი:** უნდა შეარჩიოთ კომუნიკაციის ისეთი არხები, რომლებიც საუკეთესოდ მიაღწევს სამიზნე აუდიტორიას. ეს შესაძლოა იყოს მასმედია (ტელევიზია, რადიო, გაზეთები), სოციალური მედია და გარე რეკლამა. გარდა ამისა, ეს შესაძლოა ასევე იყოს საზოგადოებრივი ან სათემო არხები, როგორიცაა ადგილობრივი რადიო-თოქშოუები; ორგანიზაციის საინფორმაციო ბიულეტენები; საზოგადოებრივი აქტივობები, როგორიცაა ჯანდაცვასთან დაკავშირებული გამოფენა-გაყიდვები, შეხვედრები სკოლებში, სამუშაო ადგილებსა და ეკლესიებში. ერთი და იგივე შეტყობინების გასავრცელებლად რამდენიმე არხის გამოყენება გაზრდის ზემოქმედების და დახსომების დონეს. ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებები.

**ქმედების გამომწვევი:** ეს გულისხმობს სამიზნე აუდიტორიის და მისი ცოდნის, დამოკიდებულებების და ქცევების გააზრებას, რათა შეიქმნას ისეთი შეტყობინებები, რომლებიც გადალახავს ბარიერებს და წაახალისებს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, გადადგან რეკომენდებული ნაბიჯები, რათა კომუნიკაციის შედეგად განხორციელდეს ქმედება.

**სანდო და სარწმუნო:** თუ აუდიტორიის წევრები აღგიქვამენ თქვენ და თქვენს ორგანიზაციას, როგორც სანდოს და ავტორიტეტულს, უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ გენდონ და იმოქმედონ თქვენი შეტყობინებების შესაბამისად. ნდობა შეგიძლიათ განამტკიცოთ კომპეტენციის, გახსნილობის, გამჭვირვალობის, პატიოსნების, სანდოობის და მოვალეობის გრძნობის, ზრუნვის დემონსტრირებით. მნიშვნელოვანია, რომ თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია ტექნიკურად ზუსტი იყოს.

**რელევანტური:** მნიშვნელოვანია გაუგოთ თქვენს აუდიტორიას და თქვენი კომუნიკაცია მოარგოთ მის ინტერესებს. საკითხის რელევანტურობის გრძნობის გაძლიერება შეგიძლიათ აუდიტორიის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ან იმის მითითებით, თუ როგორი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ამ საკითხს ოჯახზე, მეგობრებზე ან საზოგადოების სხვა წევრებზე, რომლებსაც ისინი იცნობენ. სავარაუდოა, რომ პოლიტიკოსები აღიქვამენ საკითხებს, როგორ რელევანტურს, თუკი ისინი წარმოდგენილი იქნება ამომრჩევლებისთვის მაღალი პრიორიტეტის მქონედ, ან მოხდება მათი დაკავშირება სხვა ეროვნულ და საზოგადოებრივ ღირებულებებთან, როგორიცაა უსაფრთხოება და ეკონომიკური კეთილდღეობა.

**დროული:** ეს ნიშნავს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას ისეთ დროს, როდესაც ინდივიდებს და პოლიტიკოსებს სჭირდებათ ქმედების განხორციელება. მაგალითად, შესაძლოა პოლიტიკურ ციკლში იყოს გადამწყვეტი პერიოდები, როდესაც ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით შეტყობინებების გავრცელება განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება. ასევე შესაძლოა სასარგებლო იყოს შეტყობინებების გარკვეული თანმიმდევრობით დაგეგმვა დროში რათა შენარჩუნდეს იმპულსი. მაგალითად, შესაძლოა ეფექტიანი იყოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა წელიწადის ისეთ დროს, როდესაც ჩვეულებრივი მოვლენაა შენობების გარემონტება, როგორიცაა სკოლების მომავალი სემესტრისთვის მომზადება, ან მნიშვნელოვანი დღესასწაულების პერიოდში, როგორიცაა ახალი წელი.

**გასაგები:**

ადამიანები, მეტი ალბათობით, მიენდობიან თქვენს შეტყობინებებს, თუ მათი შინაარსი გასაგები და ნათელია. ეს ნიშნავს გასაგები, მარტივი ენის გამოყენებას, მასალების მიწოდებას თქვენი აუდიტორიის ენაზე/ენებზე, ისტორიების მოყოლას ადამიანურ განზომილებაში, რათა პრობლემები რეალური იყოს აუდიტორიისთვის, და თვალსაჩინო კომპონენტების გამოყენებას, როგორიცაა ფოტოები და ილუსტრაციები.

**შეტყობინებების ჩამოყალიბებისას უნდა გახსოვდეთ შემდეგი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს თქვენი კომუნიკაციის ზემოქმედებას.**

**1** ისე გააფორმეთ და წარმოადგინეთ თქვენი საკომუნიკაციო ღონისძიება, რომ მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება(**Catches attention**). ეს შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი მთავარი სათქმელის სწრაფად განცხადებით და დამაჯერებელი არგუმენტების, ფაქტებისა და ემოციური გამოსახულებების გამოყენებით.

**2** მკაფიოდ განმარტეთ (**Clarify**) თქვენი შეტყობინებები ისე, რომ იყოს ერთმნიშვნელოვანი, მაგალითად, რისი გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს, უმოქმედობას რა შედეგები მოჰყვება.

**3** აუდიტორიას ნათლად დაანახეთ (**Communicate**) სარგებელი რაც მათ ქმედებას მოყვება, მაგალითად: "ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრა სასარგებლოა თქვენი ბავშვების ჯანმრთელობისთვის"

**4** შეტყობინებების გაჟღერებისას იყავით თანმიმდევრულები (**Consistent**)

**5** მიეცით საზრდო(**Cater**) როგორც გულს, ასევე გონებას, ე.ი. მოიყვანეთ ფაქტები, მაგრამ გახსოვდეთ, რომ კომუნიკაცია რომელიც აღძრავს ემოციებს, უკეთ აღქმადია და იწვევს ქმედებას.

**6** შექმენით (**Create**) ნდობის ატმოსფერო სწორი და სანდო ინფორმაციის მიწოდებით.

**7** არ დაგავიწყდეთ მოუწოდოთ აუდიტორიას მოქმედებისკენ, (call to action), მაგალითად, შეახსენონ მთავრობას, რათა მათ შექმნან სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმები საღებავებში ტყვიის კონტროლთან დაკავშირებით, ან წაახალისონ მწარმოებლები, რომ აწარმოონ საღებავები ტყვიის დამატების გარეშე.

# 4. თქვენი კამპანიის შედეგ(ებ)ის განსაზღვრა

კარგი საკომუნიკაციო კამპანიის ყველაზე ფუნდამენტური ასპექტია თქვენი კამპანიის სასურველი შედეგის, ე.ი. იმ ცვლილებების მკაფიო გააზრება, რისი მიღებაც გსურთ. ამის მიღწევის ერთერთი გზაა კომუნიკაციის ერთიანი ყოვლისმომცველი შედეგი (single overarching communication outcome - SOCO). იგი წარმოადგენს ფიქსირებულ საკითხს, რომელსაც გაითვალისწინებთ კომუნიკაციის პროცესში, და რომელიც დაგეხმარებათ კამპანიის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და დაგეგმვაში. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ თავად SOCO არ არის შეტყობინება; ეს არის შედეგი, და უნდა გამოიხატოს აუდიტორიის პოზიციიდან. იგი არც მიზანია, რომელიც, ჩვეულებრივ, ასახავს თქვენს პოზიციას. SOCO-ს შესახებ ფიქრის პროცესი დაგეხმარებათ სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრაში.

### 4.1 როგორ შევიმუშავოთ კომუნიკაციის ერთიანი ყოვლისმომცველი შედეგი

თქვენი SOCO-ს შემუშავება მოითხოვს იმ სიტუაციის ანალიზს, რომლის შეცვლასაც აპირებთ. ეს შესაძლოა გაკეთდეს ეტაპობრივად, როგორც ილუსტრირებულია 1-ლ ცხრილში, სადაც მოცემულია შესაძლო შედეგების მაგალითები, გამომდინარე იქიდან, თუ რა საფეხურზეა ტყვიის შემცველი საღებავების რეგულირება თქვენს ქვეყანაში.

დასათვალიერებლად დააწკაპეთ

შაბლონი თქვენი SOCO-ს შესამუშავებლად მოცემულია 1-ლ დანართში.

## SOCO-ს მაგალითი

**ჩემი აუდიტორია** არის [ზმნა] გააკეთოს [ზმნა]

**ჩემი აუდიტორია** [**აირჩიეთ ზმნა**].

თქვენი სასურველი SOCO-ს ფორმულირებისას, თავი უნდა აარიდოთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა **"თქმა"**, **"ინფორმირება"**, ან **"ცოდნის მიღება"**, რადგან ისინი არ მიუთითებს რაიმე განსხვავებაზე აუდიტორიის აღქმასა ან ქმედებასთან მიმართებაში. უმჯობესია გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა **„ხელახლა დარწმუნება"**, **„ზემოქმედების მოხდენა"**, **„შეწყვეტა"**, ან **„დაწყება"**, რომლებიც მიუთითებს ასეთ ცვლილებაზე.

### SOCO-ს რამდენიმე მაგალითია:

1. პოლიტიკოსები და კანონმდებლები დარწმუნდნენ, რომ უნდა დაიწყონ კანონის შემუშავება რათა აღმოიფხვრას ტყვიის შემცველი საღებავები და/ან უზრუნველყოფილ იქნას ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების აღსრულება;
2. საღებავების მრეწველობა წყვეტს ტყვიის შემცველი ინგრედიენტების გამოყენებას საღებავებში;
3. ფართო საზოგადოება დარწმუნდა, რომ უნდა მოძებნოს საღებავი, რომელიც არ შეიცავს ტყვიას.

**ᲪᲮᲠᲘᲚᲘ 1. მიდგომის მაგალითი ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კომუნიკაციის ერთიანი ყოვლისმომცველი შედეგის განსაზღვრისთვის**

| ეტაპი | მთავარი კითხვა | შესაძლო რეაგირება |
|---|---|---|
| 1 | ᲠᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ? | ქვეყანას არ გააჩნია სამართლებრივად სავალდებულებელო მექანიზმები ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით<br><br>ან<br><br>კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება დიდი ხანია ჭიანურდება |
| 2 | ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ? | თქვენს ქვეყანაში არსებობს მტკიცებულება ან ეჭვი, რომ ტყვიის შემცველი საღებავები ტყვიის მიმართ ექსპოზირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, განსაკუთრებით ბავშვებისთვის |
| 3 | ᲕᲘᲡᲘ ᲥᲪᲔᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ? | **ვარიანტი 1:** კანონმდებლები და პოლიტიკოსები<br><br>**ვარიანტი 2:** საღებავების მწარმოებლები, სავაჭრო ობიექტები და საცალო გამყიდველები<br><br>**ვარიანტი 3:** საზოგადოება (მომხმარებლები) |
| 4 | ᲠᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ?<br><br>ᲠᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ?<br><br>(ᲔᲢᲐᲞᲘ 4 ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲛᲔ-3 ᲔᲢᲐᲞᲡ) | **ვარიანტი 1ა**: კანონმდებლები მოახდენენ საღებავებში ტყვიის აღმოფხვრის ინიცირებას  კანონპროექტის შემუშავების გზით; პოლიტიკოსები მხარს დაუჭერენ ახალი კანონის შემუშავებას ან არსებული კანონის რევიზიას/გადახედვას<br><br>**ვარიანტი 1ბ:** კანონმდებლები უზრუნველყოფენ, რომ კანონპროექტი ჩამოყალიბდეს საბოლოო სახით და ეფექტიანად განხორციელდეს<br><br>**ვარიანტი 2:** საღებავების მწარმოებლების წახალისება, რომ უარი თქვან ტყვიის დამატებაზე საღებავებში ნებაყოფლობით, ან ჩაერთონ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონის შემუშავების პროცესში<br><br>**ვარიანტი 3ა:** საზოგადოება ზეწოლას მოახდენს მწარმოებლებზე, რათა შეწყვიტონ ტყვიის შემცველი საღებავების წარმოება<br><br>**ვარიანტი 3ბ:** იმპორტიორები და დისტრიბუტორები მოემზადებიან ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით დაგეგმილი კანონების შესასრულებლად |

# 5. აუდიტორიის განსაზღვრა

თქვენი შეტყობინებები უნდა განისაზღვროს იმ აუდიტორიის შესაბამისად, რომელსაც აპირებთ რომ მიმართოთ, კამპანიის ზოგადი მიზნისა და სასურველი შედეგების გათვალისწინებით. ტყვიის შემცველი საღებავების კონტექსტში შესაძლო აუდიტორიების არჩევანი ფართოა, როგორც აღწერილია ქვემოთ.

### 5.1სამიზნე აუდიტორია

შესაძლო აუდიტორია ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კომუნიკაციისთვის შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

**ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები**

- პოლიტიკოსები (მაგ. მრეწველობის, ვაჭრობის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის სამინისტრო; მოხმარებელთა უფლებების დაცვაზე და ადამიანთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი უწყება)
- დამგეგმავები
- შესყიდვის ოფიცრები
- რეგლამენტების აღმასრულებელი ოფიცრები (სანიტარიის, გარემოს დაცვის, მრეწველობის, საბაჟოს ოფიცრები)

**პროფესიონალები:**

- სამედიცინო სფეროს პროფესიონალები
- მეცნიერ-მკვლევარები
- პროფესიული ასოციაციები (მაგ. მშენებლების ასოციაციები, მხატვართა და დეკორატორთა ასოციაციები)
- მედია და ჟურნალისტები

**სამოქალაქო საზოგადოება;**

- საფინანსო ინსტიტუციები და დონორები
- არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ. ჯანდაცვასთან, გარემოს დაცვასთან, მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებული)
- თემები (მაგ.სკოლები, საავადმყოფოები, ბაგა-ბაღები, მკვიდრი მოსახლეობის ასოციაციები, ახალგაზრდობის ჯგუფები)
- საზოგადოების წევრები (მაგ. მშობლები და ორსული ქალები)

**მშრომელები და მათი წარმომადგენლები:**

- პროფკავშირები

**საღებავების მრეწველობა:**

- საღებავების მწარმოებლები
- საღებავების დისტრიბუტორები და საცალო მოვაჭრეები
- საღებავების სფეროს პროფესიული ასოციაციები

უნდა განიხილოთ, გაგაჩნიათ თუ არა იმის საჭიროება, უნარი და რესურსები, რომ მიმართოთ სხვადასხვა აუდიტორიებს, თუ პრიორიტეტულ სამიზნე აუდიტორიაზე უნდა მოახდინოთ ფოკუსირება

## 5.2 დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

თქვენს აუდიტორიაზე და კომუნიკაციის სტრატეგიაზე ფიქრისას შესაძლოა დაგეხმაროთ დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის ჩატარება, რათა განისაზღვროს, თუ ვისთან მიმართებაში წარმართოთ კამპანია და როგორ. ამისთვის ერთერთი გზაა იმის განსაზღვრა, თუ ვინ იქნება თქვენი საკითხის მტკიცე მხარდამჭერი და ვინ ეცდება მის დაბლოკვას. შესაძლოა იყოს სხვა აუდიტორიებიც, რომლებიც უფრო პასიურები იქნებიან როგორც მხარდაჭერის, ასევე წინააღმდეგობის გაწევის მხრივ.

ნახ.1-ზე მოცემული მატრიცა გვიჩვენებს ამ აუდიტორიებს, იმას თუ რამდენად შეიძლება მხარი დაგიჭირონ თქვენ SOCO-ს და იმ რესურსების ოდენობას, რომელიც შესაძლოა მიმართონ თქვენი სასურველი შედეგის მხარდასაჭერად, ან წინააღმდეგობის გასაწევად. გაითვალისწინეთ, რომ ზოგმა ადამიანმა დროსთან ერთად შესაძლოა შეიცვალოს პოზიცია, და ასევე, ზოგმა ადამიანმა შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ამ მატრიცაში მითითებულ სხვა ადამიანებზე.

**ნახ. 1. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის მატრიცა**




## საერთო ინტერესი

დაყოფთ თქვენს აუდიტორიებს, შეგიძლიათ დაიწყოთ ფიქრი სტრატეგიებსა და შეტყობინებებზე. მე-2 ცხრილში მოცემულია დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და იმ კომუნიკაციის ან კამპანიის ღონისძიებების ტიპები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

შესაძლოა გადაწყვიტოთ, რომ ფოკუსირება მოახდინოთ დაინტერესებულ მხარეთა მხოლოდ ერთ ან ორ კატეგორიაზე, გამომდინარე თქვენი რესურსებიდან, სხვადასხვა აუდიტორიებზე თქვენი წვდომიდან და თქვენი პრიორიტეტებიდან. შესაძლოა, მაგალითად, მოგინდეთ გარკვეული აუდიტორიების კატეგორიზაცია, რომლებიც ბლოკავენ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების შემუშავებას, რადგან ისინი ყველაზე მნიშვნელოვანი არიან წინსვლისთვის. მეორე მხრივ, შესაძლოა გრძნობდეთ, რომ მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება ზოგიერთი მოწყვლადი ჯგუფისთვის, რათა შეძლონ საკუთარი თავის დაცვა.

## ცხრილი 2. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის მაგალითი ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კამპანიისთვის



### მოწინააღმდეგეები

ღიად ეწინააღმდეგებიან თქვენს სასურველ შედეგს **(მაგ. საღებავების მწარმოებლების და საცალო მოვაჭრეების გარკვეული ნაწილი, ვაჭრობის ან ეკონომიკის სახელმწიფო უწყება/სამინისტრო).**

მიდგომა:

- მონიტორინგი გაუწიეთ იმას, თუ რას ამბობენ და ვინ უჭერს მათ მხარს
- უგულვებელყავით ისინი, თუ არ არიან გავლენიანი, ან
- შედით დიალოგში, თუ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ
- დაუპირისპირდით ფაქტების მოყვანით და ცნობილი, წარმატებული ადამიანების ჩართულობით



### ჩემპიონები

ღიად უჭერენ მხარს თქვენს სასურველ შედეგს **(მაგ. ჯანდაცვის პროფესიონალები, გარემოს დაცვის მომხრეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საღებავებთან დაკავშირებული პროფესიული ასოციაციები,საზოგადოების ინტერესების დამცველი იურისტები).**

მიდგომა:

- მათთვის ინფორმაციის, ინსტრუმენტების, რჩევებისა და რესურსების უზრუნველყოფა
- მათ მიერ შეტანილი წვლილის აღიარება (მაგ. მათ მოახდინეს კანონპროექტზე მუშაობის ინიცირება, დაგეგმეს სხდომები პროექტების განსახილველად)
- მიეცით შესაძლებლობა, რომ ჩემპიონები იყვნენ თქვენს საქმეში (მაგ. გამოსცენ პრეს-რელიზი ქმედების მოწოდებასთან დაკავშირებით)



### პასიური მოწინააღმდეგეები

ჩუმად ეწინააღმდეგებიან თქვენს შედეგს ან უარს ამბობენ მის მხარდაჭერაზე **(მაგ. ზოგი სახელმწიფო სამინისტრო/უწყება, რომელსაც იმ მომენტში სხვა პრიორიტეტები აქვთ, ან არ გააჩნიათ რესურსები).**

მიდგომა:

- მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ შეიცვალონ აზრი თქვენი საქმის სასარგებლოდ, ან
- უგულვებელყავით ისინი, თუ მნიშვნელოვანი წვლილი არ შეაქვთ მოწინააღმდეგების სასარგებლოდ
- ჩართეთ ჩემპიონების დიდი რაოდენობა, რათა გავლენა მოახდინონ პასიურ მოწინააღმდეგეებზე



### პასიური მხარდამჭერები

ჩუმად უჭერენ მხარს თქვენს საქმეს, თუმცა ღიად არ მოქმედებენ **(მაგ. მომხმარებლები)**

მიდგომა:

- აამაღლეთ მათი მოტივაცია და ცნობიერება ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ, რათა გააქტიურდნენ და იმოქმედონ
- წაახალისეთ ისინი იმ წარმატებული ადამიანების ჩართულობით, რომლებიც მათთვის სამაგალითო და მისაბაძები არიან.

# 6. მისაწოდებელი ინფორმაციის განსაზღვრა

თქვენი ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების მასალების შემუშავებისას უნდა იფიქროთ იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა წარუდგინოთ აუდიტორიას, რათა მიაღწიოთ კომუნიკაციის თქვენთვის სასურველ შედეგს ზემოთ, მე-2 თავში აღწერილი პრინციპების გათვალისწინებით. სხვადასხვა აუდიტორიას ესაჭიროება, და რეაგირებას მოახდენს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ინფორმაცია მოარგოთ მათ. ზოგ აუდიტორიას, როგორიცაა კანონმდებლები, ესაჭიროებათ ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც მეცნიერულ მონაცემებს ეფუძნება და რომლის წყაროებიც მითითებულია. სხვა აუდიტორიაზე, მაგალითად, პოლიტიკოსებზე ან საზოგადოებაზე შესაძლოა მეტად მოქმედებდეს ადვოკატირების ინფორმაცია, რომელიც გადმოცემულია მარტივი მაგრამ შთამბეჭდავი ფორმით. მე-3 ცხრილში მოცემულია სამეცნიერო და ადვოკატირების საკომუნიკაციო ინფორმაციის შედარება და განსხვავებები.

**ცხრილი 3. პრინციპების შედარება:სამეცნიერო კომუნიკაცია და ადვოკატირების კომუნიკაცია**

| სამეცნიერო კომუნიკაცია | ადვოკატირების კომუნიკაცია |
|---|---|
| სასარგებლოა დეტალური ახსნა-განმარტებები | უმჯობესია გამარტივება და ფაქტებზე დაფუძნებული შეტყობინებები |
| ტექნიკურმა ენამ შეიძლება მეტი სიცხადე და სიზუსტე შეძინოს საკითხს | ტექნიკური სახელწოდებები აბნევს ადამიანებს |
| ერთ კვლევითი ნაშრომი შეიძლება რამდენიმე საკითხს, ეხებოდეს | მნიშვნელოვანია, რომ შეტყობინებების რაოდენობა შეზღუდული იყოს |
| იყავით ობიექტური და მიუკერძოებელი | წარმოადგინეთ ემოციური და დამაჯერებელი არგუმენტი, რომელიც ფაქტზეა დაფუძნებული |
| ეტაპობრივად გადმოეცით სათქმელი, სანამ დასკვნებს წარმოადგენთ | ჯერ გადმოეცით თქვენი დასკვნები, შემდეგ დაასაბუთეთ ისინი |
| უმნიშვნელოვანესია მტკიცებულება | ჭარბი რაოდენობით ფაქტები და ციფრები შესაძლოა ვერ აღიქვას აუდიტორიამ |
| ნაჩქარევად მომზადებულმა კვლევამ და პრეზენტაციამ შესაძლოა არ დაიმსახუროს ნდობა | იმისთვის,რომ გამოვიყენოთ შესაძლებლობა, ხშირად საჭიროა სწრაფი მაგრამ ზუსტი მომზადება და ქმედებები |
| ფაქტს, რომ ცნობილი პირი მხარს უჭერს თქვენს კვლევას, შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა | იმ ფაქტმა, რომ (საგულდაგულოდ შერჩეული) ცნობილი პირი მხარს უჭერს თქვენს საქმეს, შეიძლება ძალიან დიდი სარგებლობა მოიტანოს |
| ამ სფეროში ბევრი ფიქრობს, რომ მეცნიერული ჭეშმარიტება ობიექტურია | ამ სფეროში ბევრი ფიქრობს, რომ პოლიტიკური სიმართლე სუბიექტურია |

**ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის კონტექსტში არსებობს სპეციფიური საინფორმაციო მონაცემები, რომლებიც საჭირო იქნება სხვადასხვა აუდიტორიისთვის, როგორც ნაჩვენებია მე-4 ცხრილში.**

## ცხრილი 4. კონკრეტული შედეგებისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები

| აუდიტორია და სასურველი შედეგი | ინფორმაციის ტიპი |
| --- | --- |
| **სახელმწიფო მოხელეები**<br><br>კანონმდებლები მოახდენენ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონპროექტის შემუშავების პროცესის, ან არსებული კანონის გადახედვის ინიცირებას<br><br>პოლიტიკოსებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოქმედი კანონის გადახედვას ან ახალი კანონის შემუშავებას<br><br>კანონმდებლები უზრუნველყოფენ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონის განხორციელებას | • ფაქტობრივი ინფორმაცია, მაგალითად, ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით უმოქმედობის შედეგები ჯანმრთელობისა და ეკონომიკისთვის, თუ შესაძლებელია, ეროვნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილების გარეშე<br>· საღებავებში ტყვიის შემცველობაზე 90-ნაწილაკი-მილიონზე ლიმიტის (ppm) დაწესების დასაბუთება<br>· ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების მდგომარეობა მეზობელ ქვეყნებში ან მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან<br>• იმის მტკიცებულება, რომ ტყვიის შემცველი საღებავები გაყიდვაშია ქვეყანაში<br>• სხვა ქვეყნებში ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების წარმატებული განხორციელების მაგალითები<br>• იმის მაგალითები, თუ როგორ მუშაობდნენ სხვა მთავრობები ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების მიღებაზე საღებავების მწარმოებლებთან და ასოციაციებთან კოორდინაციით და მათი მხარდაჭერით. პოლიტიკური ბრიფინგი პოლიტიკური ვარიანტების, როგორც ხელშესახები გამოსავლების წარდგენით. |
| **საღებავების მრეწველობა**<br><br>საღებავების მწარმოებლები უნდა წახალისდნენ, რათა შეწყვიტონ საღებავებში ტყვიის კომპონენტების დამატება | მოიყვანეთ ფაქტობრივი და ტექნიკური ინფორმაცია,<br>✓ ჯანდაცვის და სოციალური არგუმენტები ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის სასარგებლოდ<br>✓ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების მდგომარეობა მეზობელ ქვეყნებში და მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან<br>✓ გონივრული ხარჯებით საღებავების ხელახლა ფორმულირების მეთოდები<br>✓ კონკრეტული მაგალითების შესწავლა, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლეს სხვა მწარმოებლებმა ტყვიის კომპონენტის გამოყენების შეწყვეტა, მათ შორის, ხარჯები და გაყიდვებზე<br>• ზემოქმედება,ზეწოლისა და მხარდაჭერის მობილიზება საღებავების იმ მწარმოებლების მხრიდან, რომლებმაც უკვე დანერგეს ცვლილება<br>• მასმედიის მხარდაჭერის მოპოვება ტყვიის გარეშე საღებავებთან დაკავშირებული ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის<br>• ინფორმაციის მიწოდება IPEN-ის, - ტყვიის მხრივ უსაფრთხო სერტიფიცირების პროგრამის შესახებ' |

| აუდიტორია და სასურველი შედეგი | ინფორმაციის ტიპი |
|---|---|
| **საზოგადოება**<br>საზოგადოების მოწოდება ქმედებისაკენ, რომ საღებავების მწარმოებლებმა შეწყვიტონ ტყვიის დამატება საღებავებში<br><br>საზოგადოების მოწოდება ქმედებისაკენ, რათა მთავრობამ დაარეგულიროს საღებავებში ტყვიის შემცველობა | • წარმოადგინეთ ინფორმაცია შემდეგზე:<br>· რატომ წარმოადგენს ტყვიის შემცველი საღებავი ტყვიისადმი ექსპოზიციის წყაროს<br>·ზიანი, რომელსაც ტყვიისადმი ექსპოზირება ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკონომიკურ პერსპექტივასა და გარემოზე<br>· ფაქტი, რომ საღებავის დამზადება შეიძლება ტყვიის დამატების გარეშე<br>· ფაქტი, რომ ტყვიის დანამატების გარეშე დამზადებული საღებავი ხელმისაწვდომია სხვა ქვეყნებში<br>· ტყვიის გარეშე დამზადებული საღებავის ფასის ხელმისაწვდომობა<br>· ტყვიის შემცველი საღებავის გაყიდვა თქვენს ქვეყანაში<br>· ინფორმაცია, რომელიც უნდა მოძებნონ საღებავების ეტიკეტზე<br>· ქმედება, რომელიც შეიძლება განახორციელონ ადამიანებმა, საკუთარი თავისა და ოჯახების ტყვიის ზემოქმედებისგან დასაცავად |

1 IPEN-ის საქმიანობა: დამაბინძურებლების აღმოფხვრის საერთაშორისო ქსელი [ვებ- გვერდი] (https://ipen.org/projects/eliminating-lead-paint/ipen-activities, წვდომა განხორციელდა 2020 წ. 3 აგვისტოს).

საკომუნიკაციო მასალების მომზადებისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის ავტორიტეტული წყაროების გამოყენება, როგორიცაა ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ინფორმაციის სხვა წყაროები მოიცავს ავტორიტეტული ეროვნული და საერთაშორისო ორგანოების გამოცდილებას, სამეცნიერო წრეების მიერ მოძიებულ ლიტერატურას ჟურნალებში და ავტორიზებული სტატისტიკური მონაცემების ანგარიშებს.

დასათვალიერებლად დააწკაპეთ

ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის და სხვათა რესურსები მოცემულია მე-2 დანართში.

# 7.კომუნიკაციის მეთოდებისა და არხების შერჩევა

არსებობს კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდები და არხები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისთვის. თქვენი არჩევანი დამოკიდებული იქნება თქვენს აუდიტორიაზე და იმ შედეგებზე, რომელთა მიღწევაც გსურთ, ასევე, თქვენთვის ხელმისაწვდომ რესურსებზე. ზოგიერთი საილუსტრაციო მასალა მოცემულია ნახ. 2-ზე. გაითვალისწინეთ, რომ ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსში ხელმისაწვდომია რიგი რესურსები, რომელთა ადაპტირებაც შესაძლებელია, რათა გამოიყენოთ თქვენს საქმიანობაში

| დასათვალიერებლად დააწკაპეთ | **ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის და სხვათა რესურსები მოცემულია მე-2 დანართში** |
|---|---|

**7.1 მედიასთან მუშაობა**

მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს თქვენი საკომუნიკაციო შეტყობინებების გავრცელებაში და კამპანიის წარმატებაში. მედია ინტერვიუები ფართო აუდიტორიის წვდომის ნაკლებხარჯიანი მეთოდია, რათა ყურადღება გაამახვილოთ პრობლემებზე და ჩართოთ ძირითადი დაინტერესებული მხარეები. ამ დოკუმენტში აღწერილი კომუნიკაციის კარგი მეთოდები მიესადაგება მედიასთან მუშაობასაც. მედიის ფუნქციაა ისტორიის მოპოვება, და თქვენ უნდა უზრუნველყოთ თქვენი ამბის მოყოლა, თქვენებურად. ეს ნიშნავს, რომ კარგად უნდა იყოთ მომზადებული ინტერვიუსთვის და გახსოვდეთ თქვენი SOCO. ინტერვიუერი შესაძლოა არ იყოს კარგად ინფორმირებული ტყვიის შემცველი საღებავების შესახებ, ამიტომ საჭიროა, უმნიშვნელოვანესი ფაქტები მკაფიოდ გადმოსცეთ/გააჟღეროთ. თქვენს შეტყობინებებს უფრო ეფექტურს გახდის ადამიანური ინტერესის შემოტანა, მაგ. თქვენს ქვეყანაში რეალურ პიროვნების ტყვიისადმი ექსპოზირების ზემოქმედების აღწერა.

# 8.ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზება

ზემოთ, მე-3 - მე-7 თავებში აღწერილი იყო ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის მომზადებისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები. ამ თავში განხილულია ის ეტაპები, რომლებიც უნდა გაიაროთ თქვენი საკუთარი კამპანიის ორგანიზებისას. თქვენი კამპანია შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, საზოგადოების, მრეწველობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისადმი. თქვენი ღონისძიების თემა შესაძლოა მოიცავდეს მე-4 ცხრილში აღწერილ თემებს. ასევე უნდა გაითვალისწინოთ, თუ ვინ შეიძლება იყოს თქვენი პარტნიორი, რათა გააძლიეროს და გაავრცელოს თქვენი შეტყობინებები, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, სასწავლო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი იურისტები და მასმედიის წარმომადგენლები.

აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელების გზით, თქვენ შეგიძლიათ როგორც ცნობიერების ამაღლება, ასევე, ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრისთვის საჭირო კანონების მნიშვნელობის წარმოჩენა.

**ნახ. 2. სხვადასხვა აუდიტორიის შემთხვევაში გამოსაყენებელი საკომუნიკაციო მეთოდების მაგალითები**

ლობის-ძიებები

ბეჭდური

მედია

**საზოგადოებრივ სივრცეში საინფორმაციო სტენდის** გამართვა მასალებით, რომლებიც აღწერს საფრთხეს, რომელსაც ტყვიის შემცველი საღებავები უქმნის ჯანმრთელობას, და პერსონალის მიჩენა, რომ უპასუხონ კითხვებზე

ტყვიის შენაერთების გარეშე დამზადებული საღებავით **სკოლის, ან სხვა შენობის შეღებვა,** არის ასეთი საღებავების გამოყენების პროპაგანდის მეთოდი

პრეზენტაცია საღებავების **მრეწველობის პროფესიული ასოციაციის** კონგრესზე

ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული **სპექტაკლი, ან პერფორმანსი** კარგი მეთოდია, რათა გადმოვცეთ პერსონალური ისტორია, რამაც შესაძლოა აუდიტორიაში აღძრას ემოციები და მოტივაცია მოქმედებისათვის

**სასკოლო კონკურსები,** რათა ინფორმაცია მიეწოდოს ბავშვებს, რომლებიც შემდეგ მიაწვდიან ინფორმაციას საკუთარ მშობლებს. ამ აქტივობის ხელშეწყობა შეიძლება ტყვიასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მასალების შემუშავების გზით.

**სემინარები, ვებინარები და დისკუსიები მრგვალ მაგიდასთან** დაინტერესებულ მხარეებთან: რათა წარვუდგინოთ ტექნიკური ინფორმაცია და ლოგიკური დასაბუთება და მხარდამჭერი მტკიცებულება ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრისთვის

**მსვლელობები, დემონსტრაციები და პეტიციები**, რომლებიც მოუწოდებს ქმედებისკენ, წარმოადგენს პოლიტიკოსების, კანონმდებლებისა და მწარმოებლების ყურადღების მიპყრობის მეთოდს

**პოლიტიკური ბრიფინგი** რომელიც იძლევა უმთავრეს ინფორმაციას მოკლე დოკუმენტში, რაც ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის საკითხის გაცნობის კარგი მეთოდია მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის, რომლებიც, შესაძლოა, არ იცნობდნენ ამ საკითხს

**კონკრეტული შემთხვევების შესწავლის** სერიების შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ დაარეგულირეს სხვა ქვეყნებმა, და/ან როგორ ამოიღეს მწარმოებლებმა წარმოებიდან ტყვიის შემცველი საღებავები

**მოკლე საინფორმაციო ბიულეტენები ან ბროშურები:** გამოიყენება ტყვიის შემცველ საღებავებთან, მის რისკებთან და იმასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ინფორმაციის გადმოსაცემად, თუ როგორ მოვახდინოთ ექსპოზირების პრევენცია, და განკუთვნილია სხვადასხვა აუდიტორიისთვის

**საგაზეთო ან ჟურნალის სტატიები, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობა** შესაძლოა მისწვდეს ფართო აუდიტორიას: გამოიყენება ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის საჭიროების ასახსნელად

**სოციალური მედიის გამოყენება** შეიძლება ეფექტური იყოს ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული ძირითადი შეტყობინებების გადმოსაცემად და ასევე, ბმულების მითითება, სადაც მოცემული იქნება უფრო დეტალური ინფორმაცია

ისეთი **აუდიო-ვიზუალური მასალების შემუშავება,** რომლებიც თვალს იტაცებს და შეიცავს მარტივ და მკაფიო შეტყობინებებს

## 8.1 ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის ორგანიზების პრინციპები

არსებობს ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების კამპანიის შემუშავების სამი მნიშვნელოვანი პრინციპი:

**1**
უზრუნველყავით რომ თქვენი მთავარი შეტყობინება მკაფიო, ლაკონური და რელევანტური იყოს აუდიტორიისთვის

**2**
დაგეგმეთ ფოტო მასალა და შესაბამისი სათაურები, რომლებიც საუკეთესოდ წარმოაჩენს თქვენს ძირითად შეტყობინებებს

**3**
გამოიყენეთ პარტნიორები, რათა შექმნათ და მოზილიზება გაუკეთოთ ადგილობრივ ქსელებს ინფორმაციის გასავრცელებლად

## 8.2 დროის შერჩევა კამპანიისთვის

როგორც მე-3 თავში იყო აღნიშნული, საკომუნიკაციო კამპანია დროული უნდა იყოს. მაგალითად, შეიძლება ეფექტიანი იყოს ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება წლის იმ დროს, როდესაც, ჩვეულებრივ რემონტი უტარდება შენობებს, მაგალითად, სკოლებს, ახალი სემესტრისთვის მზადებისას, ან მნიშვნელოვანი დღესასწაულების, მაგალითად ახალი წლის წინა დღეებში. კამპანიის ღონისძიების ორგანიზებამ ტყვიით მოწამვლის პრევენციის კვირის პერიოდში, რომელსაც ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსი ოქტომბრის ბოლო კვირას ატარებს, შეიძლება თქვენი კამპანია დაუკავშიროს მსოფლიოს სხვა კამპანიებს და გააძლიეროს თქვენი შეტყობინებები.

## 8.3 კამპანიის ორგანიზების ეტაპები

ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების თქვენი კამპანიის ორგანიზების ძირითადი ეტაპები ქვემოთ არის ჩამოთვლილი.

**1** ფოკუსირება მოახდინეთ თქვენს SOCO-ზე, აუდიტორიასა და იმ ცვლილებაზე, რომელიც გსურთ დაინახოთ თქვენი კამპანიის შედეგად, რომელიც დაგეგმვის ეტაპზე შეიმუშავეთ

**2** ესაუბრეთ დაინტერესებულ მხარეებს და გააერთიანეთ ძალები მათთან, რათა მოახდინოთ თემის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება. განსაზღვრეთ, რა მასალები უნდა შეიმუშავოთ და რომლების ადაპტირებაა და მორგებაა შესაძლებელი სხვა წყაროებიდან, როგორიცაა ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსიდან

**3** გამოყავით ადგილი ღონისძიებისთვის და რეკლამირება გაუწიეთ მას

**4** რეკლამირება გაუწიეთ თქვენს საქმიანობას ღონისძიების პროცესში და მის შემდგომ

**5** შეიმუშავეთ გრძელვადიანი გეგმა ტყვიის შემცველი საღებავების პრობლემაზე მუშაობის გასაგრძელებლად

ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლების წარმატებულმა კამპანიამ უნდა მიიპყროს ყურადღება, მიიზიდოს თქვენი აუდიტორია და მისცეს მას ქმედების განხორციელების მოტივაცია. მე-3 დანართში ჩამოთვლილია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა იმისთვის, რომ კამპანია წარმატებული იყოს. დასრულების შემდგომ ძალიან სასარგებლოა განისაზღვროს, თუ რამ იმუშავა კარგად, რომელი აქტივობა იყო ნაკლებ წარმატებული და, თუ მოხერხდება, შეფასდეს კამპანიის შედეგები.

# 9. ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობები

ამ თავში მოცემულია იმ აქტივობების მაგალითები, რომლებიც განხორციელდა 2019 წ. სხვადასხვა ქვეყანაში ტყვიისადმი ექსპოზირებასთან და ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და პრობლემების აქტუალიზაციისთვის. ამ აქტივობების უმეტესობა განხორციელდა ტყვიით მოწამვლის საერთაშორისო კვირეულის პერიოდში. ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების სხვა მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ტყვიით მოწამვლის პრევენციის საერთაშორისო კვირეულის ანგარიშებში, რომლებიც ჯანმო-მ[1] და IPEN[2]-მა გამოაქვეყნეს.

ბანგლადეშში, ეკო-სოციალური განვითარების ორგანიზაციამ (ESDO) მოახდინა სოციალური მედია კამპანიისა და მდგვალ მაგიდასთან შეხვედრის ორგანიზება. მიეწოდათ ინფორმაცია ტყვიის შემცველი საღებავების საშიშროებასთან და ტყვიის შემცველი საღებავების აკრძალვასთან დაკავშირებით, რათა დაცულ იქნას ბავშვების ჯანმრთელობა და გარემო. ESDO-მ ყურადღება გაამახვილა სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმების შექმნის საჭიროებაზე, რათა შეწყდეს ტყვიის შემცველი საღებავების წარმოება, იმპორტირება და გაყიდვა.

კოლუმბიაში შეიქმნა სადისკუსიო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომერციის, მრეწველობის და ტურიზმის წარმომადგენლები და საღებავების მწარმოებლები. პრეზენტაციებით გამომსვლელებმა აღწერეს კოლუმბიაში ტყვიის შემცველი საღებავების ირგვლივ არსებული სიტუაცია და ტყვიისადმი ექსპოზირების ზემოქმედება ჯანმრთელობაზე. ამას მოჰყვა აზრთა და გამოცდილების ურთიერთგაცვლა საღებავებში ტყვიის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

იორდანიაში ჯანმო-ს გარემოს ჯანმრთელობის ღონისძიებათა ცენტრმა, იორდანიის გარემოს დაცვის საზოგადოებასთან ერთად, დასახა რიგი აქტივობები ტყვიისადმი ექსპოზირების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების და საღებავიდან ტყვიის აღმოფხვრის საჭიროებასთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად. ეროვნულ სემინარს დაესწრო დაახლოებით 30 დელეგატი სხვადასხვა დარგებიდან და სამინისტროებიდან. ამ კამპანიის ნაწილის სახით, რამდენიმე სკოლის შენობა შეიღება ტყვიისგან თავისუფალი საღებავებით. ახლა მოქმედებს კანონი, რომელიც აწესებს 90 ppm ლიმიტს ქვეყანაში წარმოებულ საღებავებში ტყვიის მთლიან შემადგენლობაზე.

კენიაში, ნაირობის უნივერსიტეტმა გამოიყენა ტყვიის მოწამვლის პრევენციის საერთაშორისო კვირეული, რათა ხელი შეეწყო კენიაში საღებავის ახალი აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონალური სტანდარტის დანერგვისა და ამოქმედებისთვის, რომელიც აწესებს 90 ppm ლიმიტს გარკვეულ საღებავებში ტყვიის მთლიან შემცველობაზე. ბურუნდიში ჩატარებულ EAC ტექნიკური კომიტეტის საღებავებთან დაკავშირებულ სემინარზე გაკეთდა პრეზენტაცია აღმოსავლეთ აფრიკის კავშირში (EAC) ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის პრიორიტეტებსა და მიმდინარეობაზე. სამრეწველო ქიმიის სტუდენტების ასოციაციამ და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა მონაწილეობა მიიღეს ტყვიის არშემცველ საღებავებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებაში, რომელიც მოაწყო უნივერსიტეტმა, და რომელშიც მონაწილეობდა მედია.

მოლდოვას რესპუბლიკაში, პასუხისმგებელმა სამინისტრომ მოაწყო მრგვალი მაგიდა სოფლის მეურნეობის, რეგიონალური განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების, საღებავების მწარმოებლების და მოვაჭრეების წარმომადგენლების მონაწილეობით. მონაწილეებმა გამოხატეს საკუთარი მოსაზრებები სანიტარული რეგლამენტის მუშა ვერსიასთან დაკავშირებით, რომელიც აწესებს სამართლებრივად სავალდებულო მექანიზმებს ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით და შეთანხმდნენ, რომ მეტი მუშაობაა საჭირო 2020 წლის განმავლობაში, რათა გაგრძელდეს საღებავებში ტყვიის აღმოფხვრის ეროვნული სტრატეგიის შესრულება (2019 წ.).

1 ტყვიითმოწამვლისპრევენციის მე-7 საერთაშორისო კვირის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების ანგარიში, ჟენევა, 2019 წ. 20-26 ოქტომბერი: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; 2020 წ. (https://apps.who.int/iris/handle/10665/332274, წვდომა განხორციელდა 2020 წ. 3 აგვისტოს). ლიცენზია: CC BY-NC-SA 3,0 IGO.

2 ტყვიით მოწამვლის პრევენციის საერთაშორისო კვირა, გოტენბურგი, 2018 წ. 21-27 ოქტომბერი: დაბინძურებლების აღმოფხვრის საერთაშორისო ქსელი; 2018 (https://ipen.org/projects/international-lead-poisoning-awareness-week-2018, წვდომა განხორციელდა 2020 წ. 3 აგვისტოს).

რუსეთის ფედერაციაში, არასამთავრობო ორგანიზაცია ეკო-აკორდმა დაინტერესებული მხარეებისთვის მოაწყო რიგი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც იზნად ისახავდნენ ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრას. ეს კამპანიები მოიცავდა სახელისუფლებო ორგანოებთან და ექსპერტებთან დიალოგს ევრაზიის ეკონომიკური კავშირიდან, საღებავების უმსხვილეს მწარმოებლებთან და სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებთან. მაგალითად, 2019 წელს და 2020 წლის დასაწყისში ეკო-აკორდმა მოაწყო სამი ვებინარი საღებავებში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით (ორი მშობლებისთვის და ერთი საღებავების მწარმოებლებისთვის და სავაჭრო ობიქტებისთვის) და დისკუსია მრგვალი მაგიდის გარშემო სახელისუფლებო ორგანოების ექსპერტებთან და საღებავების მწარმოებლებთან, ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული რუსული ეროვნული კანონების განმტკიცების მიზნით. ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული ძლიერი რეგლამენტების მნიშვნელობის ხაზგასასმელად, 2019 წ. ეკო-აკორდმა, რუსეთის მაღალხარისხიანი საღებავების ასოციაციასთან ერთად, ჩაატარა ანალიზი ტყვიის შემცველობაზე რუსეთის ფედერაციაში შეძენილ 41 სამეურნეო საღებავში. 25 საღებავში (გაანალიზებული საღებავების 60%-ზე მეტში) ტყვიის კონცენტრაცია აღემატებოდა 90 ppm -ს. ამ კვლევის შედეგები გაეგზავნა სამთავრობო უწყებებს, საღებავების მწარმოებლებს და საცალო ვაჭრობის სისტემას, და ასევე გავრცელდა სოციალური ქსელების და მედიის საშუალებით. მომზადდა საინფორმაციო მასალები, სადაც ნაჩვენებია თუ რატომ წარმოადგენს ტყვიის შემცველი საღებავები სერიოზული შეშფოთების საგანს და რატომაა საღებავებში ტყვიის აღმოფხვრა სასარგებლო როგორც საზოგადოებისთვის, ასევე მწარმოებლებისთვის.

# 10. წყაროები


Effective communications: participant handbook: communications training programme for WHO staff. Geneva: World Health Organization; 2015 (https://apps.who.int/iris/handle/10665/249241, accessed 3 August 2020).

World Health Organization and United Nations Environment Programme. International Lead Poisoning Prevention Week 2016: campaign resource package. Geneva: World Health Organization; 2016 (https://www.who.int/ipcs/lead_campaign/ilppw_campaign_resource_package2016.pdf, accessed 3 August 2020).

World Health Organization and United Nations Environment Programme. International Lead Poisoning Prevention Week 2017: resource package. Geneva: World Health Organization; 2017 (https://www.who.int/ipcs/lead_campaign/ILPPW_Campaign_Resource_Package_2017.pdf, accessed 3 August 2020).

World Health Organization and United Nations Environment Programme. International Lead Poisoning Prevention Week 2018: resource package. Geneva: World Health Organization; 2018 (https://apps.who.int/iris/handle/10665/274142, accessed 3 August 2020). License: CC BY-NC-SA 3,0 IGO.

World Health Organization and United Nations Environment Programme. International Lead Poisoning Prevention Week 2019 campaign resource package. Geneva: World Health Organization; 2019 (https://apps.who.int/iris/handle/10665/326646, accessed 3 August 2020). License: CC BY-NC-SA 3,0 IGO.

International Lead Poisoning Prevention Week of Action, October 21–27, 2018. Gothenburg: International Pollutants Elimination Network; 2018 (https://ipen.org/documents/internationallead-poisoning-prevention-week-action-2018, accessed 3 August 2020).

WHO principles for effective communications [website]. Geneva: World Health Organization; 2020 (https://www.who.int/about/communications/principles, accessed 28 June 2020).

World Health Organization and United Nations Environment Programme. Report on activities during the 7th International Lead Poisoning Prevention Week, 20–26 October 2019. Geneva: World Health Organization; 2020 (https://apps.who.int/iris/handle/10665/332274, accessed 3 August 2020). Licence: CC BY-NC-SA 3,0 IGO.

# დანართი 1. ტყვიის შემცველ საღებავებზე ერთიანი ყოვლისმომცველი კომუნიკაციის შაბლონი

| ნაბიჯი | ძირითადი კითხვა | შესაძლო პასუხი |
|---|---|---|
| 1 | რაში მდგომარეობს თქვენი პრობლემა? | |
| 2 | რატომ გსურთ ამ საკითხზე ფოკუსირება და რატომ გსურთ მასზე ფოკუსირება ახლა? | |
| 3 | ვინ უნდა შეცვალოს ქცევა?<br><br>(აუდიტორიამ) | |
| 4 | რა ცვლილების დანახვა გსურთ თქვენს აუდიტორიაში თქვენი კომუნიკაციის შედეგად? რა არის თქვენი კომუნიკაციის მიზანი?<br><br>ეტაპი 4 ავსებს მე-3 ეტაპს) | |

დააწკაპეთ მე-4 გვერდზე დასაბრუნებლად

# დანართი 2. რესურსები

დააწკაპუნეთ მე-11 გვერდზე დასაბრუნებლად

დააწკაპუნეთ მე-12 გვერდზე დასაბრუნებლად

ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის მიერ შემუშავებულია და მათგან ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი მასალები. მათ შორისაა ადვოკატირების მასალები, ტექნიკური მასალები, შაბლონები და გრაფიკული გამოსახულებები, რომელთა გამოყენება და/ ან ადაპტირებაც შესაძლებელია თქვენი კამპანიისთვის. აქ მოცემულია ინფორმაცია ამ მასალების შესახებ, შინაარსის მოკლე აღწერასთან ერთად. უმთავრესი შეტყობინებებისა და ქმედებისადმი მიზანმიმართული მოწოდებების მაგალითები მოცემულია ქვემოთ, მე-3 დანართში.

**A2.1 ზოგადი მასალები ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის**

ამ მასალებში წარმოდგენილია უმთავრესი შეტყობინებები ან წყარო მასალები, რომლებიც შესაძლოა ადაპტირებულ იქნას, რათა ჩამოყალიბდეს შეტყობინებები უმთავრესი დაინტერესებული მხარეებისადმი დაყინებული თხოვნით, რომ შეიმუშაონ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონები.

**ჯანმოს ტყვიასთან დაკავშირებული ინფოგრაფიკა**: ეს ინფოგრაფიკული მასალები აღწერს ტყვიისადმი ექსპოზირების გზებსა და წყაროებს და ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალურ მედიაში ან საინფორმაციო ბიულეტენების სახით. ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

***UNEP-ის* ტყვიასთან დაკავშირებული ინფოგრაფიკა**: ეს ინფოგრაფიკული მასალები აღწერს ტყვიის წყაროებს გარემოში, როგორ ხდება ექსპოზირება ბავშვებსა და მოზრდილებში, ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე და როგორ შეუძლიათ ადამიანებს ექსპოზირების თავიდან აცილება.

სანახავად დააწკაპეთ

სანახავად დააწკაპეთ

1ყველა ბმულზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 3 აგვისტოს.

**ჯანმოს ვიდეო- ანიმაცია: ოთხი რამ, რა უნდა იცოდეთ ტყვიის შესახებ.** ეს ორწუთიანი ვიდეო-ანიმაცია გვიხსნით, თუ რატომაა ტყვია, კერძოდ კი ტყვიის შემცველი საღებავი, საზიანო ბავშვებისთვის და რატომ უნდა მიიღონ ქვეყნებმა ზომები, რათა შეაჩერონ ექსპოზირების ეს წყარო. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

სანახავად დააწკაპეთ (ფრანგული)

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

სანახავად დააწკაპეთ (ესპანური)

**A2.2 ფაქტობრივი/ ტექნიკური მასალები.** ამ მასალების გამოყენება შეიძლება საკომუნიკაციო კამპანიის დროს ტექნიკური ინფორმაციის მიწოდების მხარდასაჭერად, და ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების შემუშავებისა და განხორციელების სამუშაოების ხელშესაწყობად.

**ჯანმოს ტექნიკური ინსტრუქცია - ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრა მსოფლიოს მასშტაბით: რატომ და როგორ უნდა მიიღონ ზომები ქვეყნებმა.** ეს დოკუმენტი განკუთვნილია მთავრობის იმ ოფიციალური პირებისთვის, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ ტყვიის შემცველი საღებავების რეგულირებაში. მასში მოცემულია მოკლე ტექნიკური ინფორმაცია ტყვიის შემცველი საღებავების ხმარებიდან ამოღების ლოგიკურ დასაბუთებასა და საჭირო ნაბიჯების შესახებ. შემდგომ, მასში წარმოდგენილია ჯანმრთელობასთან და ეკონომიკასთან დაკავშირებული არგუმენტები საღებავებში ტყვიის აღმოფხვრის შესახებ, ახსნილია რეკომენდებული 90 ნაწილაკი მილიონზე (ppm) ლიმიტი საღებავში ტყვიის შემცველობისთვის და ჩამოყალიბებულია ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული მავალდებულებელი საკონტროლო ზომების მისაღწევად საჭირო ნაბიჯები.

**ჯანმოს პოლიტიკური ინსტრუქცია - ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრა მსოფლიოს მასშტაბით: რატომ და როგორ უნდა მიიღონ ზომები ქვეყნებმა.** ეს ზემოთ აღწერილი დოკუმენტის უფრო მოკლე ვერსიაა და განკუთვნილია პოლიტიკოსებისთვის. მასში წარმოდგენილია უმთავრესი საკითხები საღებავებში ტყვიის აღმოფხვრის მხარდასაჭერად.

სანახავად დააწკაპეთ

1 ყველა ბმულზე წვდომა განხორციელდა 2020 წლის 3 აგვისტოს.

**ჯანმოს ფაქტების ფურცელი: ტყვიით მოწამვლა და ჯანმრთელობა.** ამ დოკუმენტში წარმოდგენილია ძირითადი ფაქტები ტყვიასთან დაკავშირებით, ექსპოზიციის გზები და წყაროები, ტყვიის ექსპოზიციით გამოწვეული ზემოქმედება ჯანმრთელობაზე ბავშვებსა და მოზრდილებში და გამოწვეული ავადობის დონე. ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც წყარო მასალა ადგილობრივ დონეზე შემუშავებული კამპანიის მასალებისთვის. იგი ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

| | | |
|---|---|---|
| სანახავად დააწკაპეთ (არაბული) | სანახავად დააწკაპეთ (ჩინური) | სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური) |
| სანახავად დააწკაპეთ (ფრანგული) | სანახავად დააწკაპეთ (რუსული) | სანახავად დააწკაპეთ (ესპანური) |

**ჯანმო - კითხვები და პასუხები ტყვიასთან დაკავშირებით.** ამ დკუმეტში მოცემულია 15 პასუხი ზოგადად ტყვიასთან, ტყვიის შემცველ საღებავებთან და ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსთან დაკავშირებით. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც წყარო ადგილობრივ დონეზე შემუშავებილი კამპანიის მასალებისთვის. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

**ჯანმო - დაავადების პრევენცია ჯანმრთელი გარემოს მეშვეობით: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დიდი პრობლემა.** ჯანმოს ამ დოკუმენტში მოცემულია მოკლე ინფორმაცია ზოგადად ქიმიკატების შესახებ, მათ შორის, ტყვიისადმი ექსპოზირების წყაროების, ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესახებ, გაიდლაინები უმთავრეს წყაროებში ტყვიის დონეების შესახებ და რისკის შერბილების  ღონისძიებები. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც წყარო ადგილობრივ დონეზე შემუშავებილი კამპანიის მასალებისთვის. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

**ჯანმოს ჯანდაცვის მსოფლიო ობსერვატორია: რკინის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული რეგლამენტები და კონტროლის მექანიზმები.** ეს არის ინტერაქტიური რუქა და მონაცემთა ბაზა, რომელიც იძლევა ინფორმაციას ქვეყნებში ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონის შესახებ. მისი გამოყენება შეიძლება იმის გასაგებად, თუ რა მარეგულირებელი მექანიზმები გამოიყენება მეზობელ ქვეყნებში ან მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების მიერ. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

**UNEP -ის განახლებული ინფორმაცია ტყვიის შემცველ საღებავებზე დაწესებული სამართლებრივი შეზღუდვების სტატუსის შესახებ.** UNEP-ის მიერ გამოქვეყნებულ ამ ყოველწლიურ ანგარიშში აღწერილია ქვეყნებში ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების სტატუსი 2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით. მისი გამოყენება შეიძლება იმ მარეგულირებელი მექანიზმების გასაგებად, რომლებიც გამოიყენება მეზობელ ქვეყნებში ან მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების მიერ. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ და ეპანურ ენებზე ენაზე ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

**UNEP-ის ინტერაქტიური ვიზუალიზაცია ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების სტატუსის შესახებ.** ეს ინტერნქტიური რუქა გვიჩვენებს რკინის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული ეროვნული კანონების სტატუსს წლების მიხედვით, UNEP -ისა და ჯანმოს მიხედვით, რომლებიც მოქმედებენ ერთობლივად, როგორც ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის ალიანსის სამდივნო. ყოველი ქვეყნის კანონები ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ თითოეული ქვეყნის დათვალიერებით. იგი მუდმივად განახლდება და ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

**IPEN - ტყვიის დონეები საღებავებში მსოფლიოში.** IPEN -ის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ეს რუქა აჯამებს 2009 წლიდან ჩატარებული საღებავებთან დაკავშირებული კვლევების შედეგებს. ეს ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეროვნულ დონეზე ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონების შესახებ დისკუსიებისას. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

2018 წლის გლობალური ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

**ბავშვობაში ტყვიისადმი ექსპოზირების ეკონომიკური დანახარჯები დაბალ- და საშუალო- შემოსავლიან ქვეყნებში.** ამ ვებსაიტზე მოცემულია დაბალ- და საშუალო- შემოსავლიან ქვეყნებში ბავშვობაში ტყვიისადმი ექსპოზირებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხარჯების შეფასება ნიუ იორკის (აშშ) გარემოსდაცვითი პედიატრიის განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევისა და მოდელირების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მხოლოდ ტყვიის შემცველი საღებავებისადმი ექსპოზირებით გამოწვეული ხარჯების იდენტიფიცირება, ის ხელს უწყობს ზოგადად ტყვიისადმი ექსპოზირების შემცირების ადვოკატირებას. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

**ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის ინსტრუმენტები ტყვიის შემცველი საღებავების აღმოსაფხვრელად კანონების შესაქმნელად.** სლაიდების ფორმატში წარმოდგენილი მასალების ნაკრები ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის ადვოკატირებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის. იგი მოიცავს ინფორმაციას ჯანმრთელობაზე, ეკონომიკაზე და გარემოზე ტყვიის ზემოქმედების შესახებ; რატომ უქმნის ტყვიის შემცველი საღებავები საფრთხეს ჯანმრთელობას; საღებავის ფორმულირება; საღებავში და სისხლში ტყვიის დონის გაზომვის ანალიტიკური მეთოდები; და შერჩეული ქვეყნების მიერ ტყვიის შემცველი საღებავების აღმოსაფხვრელად გატარებული ქმედებები. დოკუმენტში მოცემული მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც წყარო მასალები მთავრობის ოფიციალური პირების მიერ საღებავების რეგულირებასთან დაკავშირებული სამშაოების დაწყებისას. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ (ინგლისური)

**ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსი - კითხვები და პასუხები.** მასში ჩამოთვლილია 30-ზე მეტი კითხვა და პასუხი ტიპიური საკითხების ირგვლივ, რომლებიც წამოიჭრება მაშინ, როდესაც ქვეყნები განიხილავენ და გეგმავენ ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებულ კანონებს. იგი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

## A2.3 ტექნიკური ინფორმაცია სპეციფიური აუდიტორიებისთვის

**UNEP -ის შეთავაზებული ნაბიჯები კანონებთან დაკავშირებით.** ფაქტობრივი მონაცემები, სადაც ნაჩვენებია ის ნაბიჯები, რომლებიც დაეხმარა ქვეყნებს, რომლებმაც მიიღეს ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონები. არ არის აუცილებელი, რომ ეს ნაბიჯები იგივე თანმიმდევრობით ან აუცილებლად განხორციელდეს ყველა ქვეყანაში. იგი ხელმისაწვდომია ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ენებზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

**ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის სანიმუშო კანონი და გაიდლაინები ტყვიის შემცველი საღებავების რეგულირებისთვის.** ამ დოკუმენტში მოცემულია სახელმძღვანელო პრინციპები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მუშაობენ ახალ კანონპროექტებზე ან ცვლიან ახალ კანონებს, რათა შეიზღუდოს საღებავებში ტყვიის გამოყენება და შეიცავს კანონის ნიმუშს, რომელიც შესაძლებელია ადაპტირებულ იქნას, რათა მოერგოს ქვეყნის სამართლებრივ სისტემას. იგი ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

**ჯანმოს ანალიტიკური მეთოდების მოკლე სახელმძღვანელო საღებავში ტყვიის შემცველობის შესაფასებლად.** ამ დოკუმენტში განხილულია არსებულ საღებავში ამ ახალ საღებავში ტყვიის შემცველობის გაზომვის სხვადასხვა ხელმისაწვდომი მეთოდები. იგი ხელმისაწვდომია ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად დააწკაპეთ

**ჯანმოს მოკლე სახელმძღვანელო სისხლში ტყვიის შემცველობის შესაფასებლად**. დოკუმენტში განხილულია სისხლში ტყვიის შემცველობის გაზომვის სხვადასხვა ხელმისაწვდომი მეთოდები, რათა შეფასდეს ტყვიის მიმართ ექსპოზიცია . იგი ხელმისაწვდომია ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად
დააწკაპეთ

**სუფთა წარმოების ეროვნული ცენტრი, სერბეთი - ტექნიკური გაიდლაინების სამუშაო ვერსია საღებავების რეფორმულირებისთვის.** ეს დოკუმენტი განიხილავს როგორ შესაძლებლობების მხრივ არსებულ შეზღუდვებს, ასევე ტექნიკურ ბარიერებს საღებავებში ტყვიის ნაერთების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით; ყურადღება გამახვილებულია მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებზე, რათა ეფექტურად და ეფექტიანად მოახდინონ საღებავების რეფორმულირება. იგი ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად
დააწკაპეთ

**A2.4 გრაფიკული მასალები**

ამ მასალების გამოყენება შეიძლება თქვენი კამპანიისთვის თქვენი საკუთარი პოსტერების, საინფორმაციო ბიულეტენებისა და სხვა ვიზუალური მასალების შესადგენად.

**ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის გრაფიკული მასალა ტყვიის შემცველი საღებავების აკრძალვასთან დაკავშირებით**. ეს გრაფიკული მასალები შეიძლება დაემატოს თქვენი კამპანიის მასალებს, რათა თქვენი კამპანია დაუკავშირდეს ტყვიის შემცველი საღებავების აღმოფხვრის გლობალურ ღონისძიებებს. იგი ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად
დააწკაპეთ

**ტყვიის შემცველი საღებავების ალიანსის ადაპტირებადი პოსტერები და საინფორმაციო ბიულეტენები.** ისინი გამოშვებულია ტყვიის მოწამვლის პრევენციის საერთაშორისო კვირეულისთვის, თუმცა შესაძლებელია მათი ადაპტირება სხვა დროს ჩატარებული კამპანიერზისთვის. ისინი მოცემულია PowerPoint-ის სლაიდების სახით ჯანმოს ვებსაიტზე. ისინი ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, ბმულზე:

სანახავად
დააწკაპეთ

# დანართი 3. უმთავრესი შეტყობინებები და ქმედებები

ამ დანართში მოცემულია უმთავრესი შეტყობინებების მაგალითები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული ადვოკატირების ან ცნობიერების ამაღლებისას. ასევე, შეიცავს რამდენიმე ზოგად შეტყობინებას, რომლებიც ეხება სხვადასხვა თემას და მოწოდებას ქმედებისაკენ განსხვავებული კატეგორიის აუდიტორიებისთვის. ამ შეტყობინებების მხარდამჭერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-2 დანართში ჩამოთვლილ წყაროებში.

**A3.1 ზოგადი შეტყობინებების თემა: ტყვიისადმი ექსპოზირება უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ბავშვებზე**

- ტყვია ტოქსიკურია ორგანოთა სისტემებისთვის,, მათ შორის, ცენტრალური ნერვული სისტემისთვის, რეპროდუქციული სისტემისთვის, თირკმელებისთვის, გულსისხლძარღვთა  და სისხლისა და იმუნური სისტემისთვის.

- არ არის ცნობილი ტყვიისადმი ექსპოზიციის უსაფრთხო დონე, რომელიც არ ახდენს საზიანო ზემოქმედებას; მცირე დონემაც კი შეიძლება მოახდინოს ჯანმრთელობაზე ისეთი ზემოქმედება, რაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება ადამიანს.

- ტყვია განსაკუთრებით საშიშია ბავშვის განვითარებადი ტვინისთვის და იწვევს IQ-ს და ყურდღების კონცენტრაციის დაქვეითებას, სწავლის უნარის დაქვეითებას და ქცევითი პრობლემების გაზრდილ რისკს. ასეთი ზემოქმედება ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ხარჯებს აყენებს ქვეყნებს.

- ქალები განსაკუთრებით მგრძნობიარეები არიან ტყვიისადმი. ტყვია ინახება ძვლებში, თუმცა ორსულობის, ლაქტაციისა და მენოპაუზის პერიოდში ბრუნდება სისხლში.

- ორსული ქალები მოწყლვად ჯგუფს წარმოადგენენ: ტყვიისადმი ექსპოზირებამ შეიძლება შეანელოს ნაყოფის ზრდა და შეიძლება გაზარდოს გართულებული ორსულობების რისკი ნაადრევი მშობიარობის ჩათვლით.

**თემა: ტყვიის შემცველი საღებავი ტყვიისადმი ექსპოზირების მნიშვნელოვანი წყაროა**

- ტყვია ემატება საღებავებს, რათა გაამკვეთროს ფერი, დააჩქაროს შრობა და მოახდინოს კოროზიის პრევენცია.

- დრო რომ გადის, ტყვიის შემცველი საღებავი იქერცლება და შრევდება, ქმნის რა ტყვიით დაბინძურებულ მტვერს და ნიადაგს.

- სახლებში, სკოლებსა და სათამაშო მოედნებზე გამოყენებისას, ტყვიის შემცველი საღებავი შეიძლება იყოს ტყვიის მიმართ ექსპოზიციის წყარო მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, რომლებიც, იდებენ რა ხელებს პირში, ადვილად იღებენ მტვერს, ნიადაგს და საღებავების ანაქერცლებს.

- ბავშვებისა და მშრომელების ჯანმრთელობის რისკები შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ტყვიის არშემცველი საღებავების წარმოებისა და გამოყენების გზით.

**თემა: მსოფლიოს მასშტაბით ტყვიისადმი ექსპოზირების შესამცირებლად საჭიროა ტყვიის შემცველ საღებავებთან დაკავშირებული კანონები**

- ზევრად უფრო მომგებიანია ტყვიის შემცველი საღებავების წარმოების და გაყიდვის აკრძალვა და ტყვიისგან თავისუფალი ალტერნატივების პროპაგანდა, ვიდრე საღებავებში არსებული ტყვიით დაბინძურებული სახლების, სკოლებისა და სათამაშო მოედნების განახლება.

- ყოველ ქვეყანაში უნდა იყოს კანონები, რეგლამენტები და მოქმედი სტანდარტები, რათა შეწყდეს ტყვიის შემცველი საღებავების წარმოება, იმპორტირება და გაყიდვა.

- ტყვიის დამატების გარეშე საღებავების წარმოება არ არის დაკავშირებული ხარჯის მნიშვნელოვან ზრდასთან, ხელმისაწვდომია ალტერნატიული, ტყვიის არშემცველი ინგრედიენტებიც. საღებავების ზევრმა მწარმოებელმა უკვე შეწყვიტა ტყვიის დამატება საღებავებში ან აიღო ამის ვალდებულება.

**A3.2 ქმედებისადმი მოწოდებაზე დაფუძნებული შეტყობინებები სხვადასხვა აუდიტორიებისთვის**

- შექმენით და განახორციელეთ სამართლებრივად მავალდებულებელი მექანიზმები საღებავებში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით, ტყვიის ლიმიტის უმცირესი მიღწევადი დონის დაწესებით.

- ჩართეთ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, რათა ხელსაყრელი პირობები შეიქმნას ტყვიის შემცველი საღებავების აკრძალვის აღსასრულებლად.

- იმოქმედეთ, როგორც „ჩემპიონმა" მთავრობამ, რათა წაახალისოთ სხვა მთავრობები ზომების მისაღებად, განსაკუთრებით, რეგიონალური ძალისხმევისა და აქტივობების საშუალებით.

- გაატარეთ ყველა საჭირო ღონისძიება იმისთვის, რომ უზრუნველყოთ სრული შესაბამისობა სამართლებრივად მავალდებულებელ საკონტროლო ზომებთან.

**მრეწველობა (საღებავების მწარმოებლები და საცალო მოვაჭრეები)**

- იმუშავეთ მთავრობებთან, რათა ხელი შეუწყოთ საღებავებში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებული კანონების შემუშავებასა და განხორციელებას.

- განახორციელეთ ქმედება, რათა შეწყდეს ტყვიის შემცველი საღებავების წარმოება, მათ შორის, ნებაყოფლობითაც.

- ხელი შეუწყეთ საღებავებში ტყვიის შემცველობის შეზღუდვის ეროვნული წესების განხორციელებას  იმის თაობაზე ცოდნის მიწოდებით თუ როგორ შეუძლიათ მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს საკუთარი საღებავების რეფორმულირება.

**არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის:**

- განაწყვეთ საღებავების ინდუსტრია ტყვიის შემცველი საღებავების წარმოების და დისტრიბუციის შემცირება/შეწყვეტისკენ და მხარი დაუჭირეთ ტყვიის საღებავის კანონმდებლობის შექმნას და დანერგვას.

- აამაღლეთ ცნობიერება და მომხმარებელთა ინფორმირებულობა ტყვიის შემცველი საღებავის საფრთხეების შესახებ, წაახალისეთ მომხმარებელი მოიძიონ ტყვიისგან თავისუფალი საღებავები.

NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH
Address: Kakheti Highway #99.
Postcode: 0198
Phone: 116 001
Email : pr.ncdc@ncdc.ge